საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/795

ქ. ბათუმი 23-- სექტემბერი, 2022 წ.

,,2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის №01–08/721 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის" 39-ე მუხლის, ,,კოეფიციენტით რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ იმ აბიტურიენტთათვის, რომლებმაც 2022 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვეს ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება" საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 30 აგვისტოს №119/22 ბრძანების, ,,რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ, იმ აბიტურიენტთათვის, რომლებმაც 2021 წელს მოიპოვეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება, მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების და ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე'' საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 30 აგვისტოს №120/22 ბრძანების, ,,2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 16 აგვისტოს №01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, ,,2022 -2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ- რექტორის 2022 წლის 05 აგვისტოს N01-02/196 ბრძანების, ,,2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული ზოგიერთი პირისათვის ბსუ-ში რეგისტრაციისას შეღავათის მინიჭების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 16 სექტემბრის N07-01/41 გადაწყვეტილების, ლუკა ხოზრევანიძის 2022 წლის 20 სექტემბრის MES 6 22 0001125440 განცხადების, ბსუ-სა და ლუკა ხოზრევანიძეს შორის დადებული 2022 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულება №24-15/301-

2203/ბ ხელშეკრულების, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 22 სექტემბრის MES 4 22 0001136941 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის №01–08/721 ბრძანების დანართებში შევიდეს ცვლილება და დამატება, კერძოდ:

ა) ბრძანების დანართ №3-ს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სიას დაემატოს 235-ე გრაფა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	სტუდენტის გვარი, სახელი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	უმაღლესი განათლების საფეხური
235	ხოზრევანიძე ლუკა		საერთაშორისო ურთიერთობები	ბაკალავრიატი

ბ) შევიდეს ცვლილება ბრძანების დანართ №5-ში და ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა სიიდან ამოღებული იქნას ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი რუსლან კახიძე (პ/ნ .

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. წინამდებარე ბრძანება გამოცემიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე), ასევე განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (სასწავლო პროცესის მიმართულებით), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**